20 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XXI ტურის მატჩები. საქართველოს ორივე გუნდი ამ დღეს სტუმრად გამოდიოდა და ორივემ დასანანი მარცხი იწვნია. ამ ეტაპზე კი თბილისის „დინამოსაც“ დიდად ესაჭიროებათ ქულები. საქმე ეხება უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას.

„შახტიორი“ (დონეცკი) – „დინამო“ (თბილისი) 1:0 (0:0).

დონეცკი. „შახტიორის“ ცენტრალური სტადიონი. 20 აგვისტო.

„შახტიორი“: ზოლოტნიცკი, დრაგუნოვი, სოპკო, გოშკოდერია, პარხომენკო (სოკოლოვსკი, 46), ოლიფირენკო, იაშჩენკო, გერასიმეცი (იურჩენკო, 89), პეტროვი, სმოლიანინოვი, რალიუჩენკო.

„დინამო“: გაბელია, ფირცხალავა, ჩივაძე, ჭედია (ხაგბა, 85), ცვეიბა, აჯოევი (კაკილაშვილი, 60), სვანაძე, სულაქველიძე, ჟვანია, გურული, შენგელია.

მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი)

გააფრთხილეს ჟვანია.

დუბლიორები - 8:0.

დონეცკში თამაში თბილისის დინამოელებს ტრადიციულად უჭირთ და ის დადებითი ბალანსი, რომელიც „შახტიორთან“ გვაქვს წლების მანძილზე, უმთავრესად თბილისის სტადიონებზეა მოპოვებული. ამ მნიშვნელოვან ფაქტს იმიტომაც ვუსვამთ ხაზს, რომ დინამოელებს ახლანდელ მატჩში საგანგებო მობილიზება და მონდომება, თუ გნებავთ, ნამდვილი თავგანწირვაც უნდა გამოეჩინათ. დღესდღეობით ლაპარაკია არა მარტოოდენ დონეცკის „შახტიორთან“ პირად ურთიერთობებზე, არამედ გაცილებით უფრო მაღალ ინტერესებზე, კერძოდ, იმაზე, რომ თბილისის „დინამო“ ახლა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების მეტად მწვავე დილემის წინაშე იმყოფება. მოგება თუ არა, დინამოელებს ერთი ქულის ასაღებად მაინც მთელი შესაძლებლობებით უნდა ებრძოლათ.

ჩვენმა გუნდმა ამ მიზანს მხოლოდ პირველ ტაიმში მიაღწია, რომელიც ფრედ დამთავრდა. ამ 45 წუთის განმავლობაში უპირატესობა მასპინძლებს ეპყრათ და მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს დინამოელებმა სახიფათო კონტრიერიშების განხორციელება. ჯერ შენგელიას, შემდეგ კი ჩივაძეს მიეცათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ვერც ერთმა ამის გაკეთება, სამწუხაროდ, ვერ შეძლო...

შესვენების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. მდგომარეობაც უკიდურესად გამძაფრდა. თბილისელებმა გაამაგრეს ნახევარდაცვისა და დაცვის რგოლები და მხოლოდ კონტრშეტევების იმედით დარჩნენ, მაგრამ ეს, ეტყობა, საკმარისი არ იყო. „შახტიორის“ ფეხბურთელებმა დროზე იგრძნეს, რომ მათს კარს ხიფათი იშვიათად თუ ემუქრებოდა, ამიტომ თვითვე გადავიდნენ ხანგრძლივ იერიშზე.

დინამოელები 75-ე წუთამდე, ავად თუ კარგად, ასრულებდნენ თავიანთ „პროგრამა-მინიმუმს“. სწორედ ამ წუთზე შეძლო ჩივაძემ ცარიელი კარიდან ბურთის გამოტანა, მაგრამ დონეცკელებმა უმალვე ახალი შეტევა განავითარეს და სმოლიანინოვმა გაიტანა ის ბურთი, რომელმაც მის გუნდს გამარჯვება მოუტანა. მატჩის დამთავრებამდე დარჩენილ 15 წუთში თბილისელმა ფეხბურთელებმა ვერაფერი გააწყვეს და კვლავ დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

ლელო 18.08.1987